პროლეტარეტბრ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ოთხშაბათი
25
ივნისი
№ 148
(16274)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნება 1975 წლის 27 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 25 და 26 ივნისს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. ოთახები — № 1, № 4. ტელეფონები: 99-08-54, 99-58--19, 99-56-19.

27 ივნისს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1975 წლის 27 ივნისს დილის 9 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.



სურათზე: საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეებისადმი მიძღვნილი ინტერნაციონალური ლიტერატურული სალამო.

ხ. კილაძის ფოტო.

ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობა საბჭოთა ლიტერატურის თითაგონების წყაროა

საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების აპოთეოზი გახდა დიდი ინტერნაციონალური ლიტერატურული სალამო, რომელიც 24 ივნისს გაიმართა სახელმწიფო დიდ საკონცერტო დარბაზში.

ყვავილებში ჩაფლულ სცენაზე არიან სახელგანთქმული საბჭოთა პოეტები და მწერლები, ისინი, ვისი შემოქმედებაც გამოხატავს ჩვენი ხალხის ყველაზე სანუკვარ ფიქრებსა და მისწრაფებებს, საზღვარგარეთელი ლიტერატორები, რომლებიც მონაწილეობდნენ საბჭოთა ლიტერატურის დღესასწაულში.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სოციალისტური შრომის გმირმა ბ. აბაშიძემ.

საქართველოს მშრომელთა, მეფილი საქართველი ხალხის სახელით, ქართველ მწერალთა სახელით იგი გულითადად მიესალმა სახელგანთქმულ საბჭოთა და უცხოელ ლიტერატორებს და უსურვა შემოქმედებითი წარმატებანი.

სალამოზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, ერთგულო მეგობრებო, თქვა ამხ. **ე. შევარდნაძემ.**

სწორედ სიტყვით „მეგობრებო“ მინდა დავიწყო ჩემი მმართველი დღევანდელი საღამოს მონაწილეებისადმი.

ეს სიტყვა „მეგობრებო“ — გულთბილი და გულითადი, თვითეული ჩვენგანისათვის უსაზღვროდ ძვირფასი სიტყვა — მრავალგზის გაისმოდა მთელი ამ დღეების, საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მანძილზე. იგი გაისმოდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში, სხვადასხვა ენაზე, მას მეზობლად წარმოთქვამდნენ მუშები და კოლმეურნეები, ინჟინრები და აგრონომები, ექიმები და მასწავლებლები, მწერლები და მეცნიერები, მხატვრები და კომპოზიტორები, მუსიკოსები და მსახიობები. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები. სანუკვარი სიტყვა „მეგობრობა“ ყველასათვის ძვირფასი და მახლობელია.

ჩვენს დღევანდელ საღამოსაც ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო ეწოდება.

მეგობრობა! მეგობარი! მეგობრები რა შეიძლება იყოს ამ შესანიშნავ სიტყვებზე უფრო მშვენიერი და ამაღლებული?!

მეგობრობა აერთიანებს. ამყარებს ადამიანებს, აყეთილშობილებს მათ. სრულყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ისევ ცხოვრებაში, ისევ ლიტერატურაშიც.

დღეს ჩვენში, საქართველოში, მთავრდება საბჭოთა ლიტერატურის დღეები. საბჭოთა ლიტერატურის ფლაგმანს კი რუსული ლიტერატურა წარმოადგენს. აგრეთვე ჩვენი პირველი სიტყვა ეკუთვნის რუსულ ლიტერატურას, რუსულ ლიტერატურასთან მეგობრულ ურთიერთობას. მის ფუძემდებელ გავლენასა და ჩვენი კულტურების ურთიერთგამდიდრებაზე.

რუსეთისა და საქართველოს მოწინავე ადამიანთა მეგობრობამ, ალიანსმა სიახლოვემ. სულიერმა ნათესაობამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. პუშკინის რუსეთი, დეკაბრისტთა რუსეთი. ჩერნიშევსკის რუსეთი. ტოლსტოის რუსეთი. და ბოლოს. დიდი ლენინის რუსეთი შუდამ მახლობელი და ძვირფასი იყო საქართველოს პროგრესული მოღვაწეებისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის. იგი გახდა დიადი ანბანთა ერთობლიანი ადიერის შემქმნელი. მსოფლიოში უდიდესი კულტურის შექმნელი.

დღეს ჩვენ სიამაყით და უფლებით სახარულით ვამბობთ, რომ საქართველო გახდა ახლობელი ქვეყანა გრიბოედოვისათვის, პუშკინისათვის, ლერმონტოვისა და რუსი ხალხის ბევრი სხვა სახელოვანი შვილისათვის, რუსული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებისათვის. მათ საკუთარ სამშობლოსავით შეიყვარეს საქართველო და საქართველომაც ღიმილი შეიყვარა ისინი.

ერთი თანამედროვე ამბობდა, გრიბოედოვს „საქართველო ისე მგზნებარედ და ერთგულად უყვარდა, ბევრს ასე საკუთარი სამშობლოც კი არ უყვარსო“. ასეთი გრძნობები შეიძლება განეცადა მხოლოდ დიდი სულის, დიდი გულის ადამიანს, რომელიც უსაზღვრო ინტერესს იჩენდა ქართველი ხალხის ისტორიული ბედისადმი და დიდ პატივს სცემდა მის მრავალსაუკუნოვან კულტურას.

საქართველოს მხურვალედ და მგზნებარედ უმღერა პუშკინმა. ქართული თემა, ქართული მოტივები მისი პოეტური გენიის ერთერთი ყველაზე შესანიშნავი გამოვლინებაა. რამდენიმე ჯერ გაატარა პუშკინმა საქართველოში. იგი გაეცნო ქართული კულტურის ბევრ ძეგლებს, ხალხის ცხოვრებას, ისტორიასა და წეს-ჩვეულებებს. მისი ნიჭის თაყვანისმცემელნი დიდი პოეტის პატივსაცემად აწყობდნენ საღამოებს, სწორედ პუშკინს ეკუთვნის სიტყვები: „მე არ მახსოვს დღე, რომ ახლანდელზე უფრო მხიარული ვყოფილიყავი; მე ვხედავ, როგორ ვეუყვარვარ, როგორ ესმით ჩემი და მაფასებენ, და როგორ მაბედნიერებს ეს“.

ასეთი იყო პუშკინი.

კავკასიის მეხოტბე გახდათ ლერმონტოვიც. სწორედ მას ეკუთვნის მეგობრობისა და თავისუფლების მშვენიერი სიმღერები. „ბარაბარ ! მამულის ტკბილი სიმღერა, მიყვარს ავაზასია“, — ამბობდა დიდი პოეტი.

საქართველოსადმი, ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი. სალტიკოვ-შჩედრინი.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა პირად კონტაქტებს ამყარებს ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლებთან, უზარმაზარ თავის ჩანაფიქრს, თავის შემოქმედებითს აეგებს, ყურად იღებს მათ რჩევა-დარიგებებს.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალლონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დაეჩნია მაგ თავისი ეე-კარგანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი — მწერლობაში, თუ საზოგაოო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზეგავლენისგან“.

აკაკი წერეთელი ამბობდა: „ჩვენ მართლა რომ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან... არის ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული, არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომლებსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.

გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის შემდეგ საქართველოში ჩამოდის რუსული კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი: ორმოცდაათიანი წლების დამდეგს აქ იყო ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი, ოთხმოცდაათ წლებში — ვლეგ ივანეს-ძე უსპენსკი, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ოსტროვსკი, ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვი, პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკი და ბევრი, ბევრი სხვა. ყველაფერი, რაც მათ შექმნეს, ყველაფერი, რაც დაწერეს საქართველოზე, ქართული კულტურის მოღვაწეებთან შეხვედრებზე, თავიანთ ქართულ შთაბეჭდილებებზე, ყოველივე ეს უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენთვის, ყოველივე ეს ჩვენს ფასდაუდებელ განძს შეადგენს.

ყველაფერი, რაც კი რუს მწერლებს შეუქმნიათ საქართველოზე როგორც წარსულში, ისე, განსაკუთრებით, ახლა, ქართველ ხალხზე, ქართულ კულტურაზე, — ყოველივე ეს ჭეშმარიტად. ტალანტი შრომა, უდიდესი შემოქმედებითი გმირობაა.

ჩვენ მშვენივრად ვიცნობ, ნათლად გვაქვს შეგნებული ის, რომ ჩვენი ხალხის კულტურა, ჩვენი მწერლების შემოქმედება ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ეუთვნილება გახდა, რომ ჩვენი მოძმე ხალხების წინაშე მთელი სისრულით წარსდგა ქართველი ხალხის სახე და მისი დიდებული ტრადიციები, შრომასა და ბრძოლაში თაფლდაფა. ის, რომ მას ახლა იცნობს მსოფლიოს ბევრი ხალხი — ყოველივე ეს უწინარეს ყოვლისა არის რუსი ხალხის დამსახურება, ყოველივე ეს მიღწეულია **რუს ხალხთან** მეგობრობისა და ძმობის მეოხებით, ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა დიადი და მძლავრი რუსული ენის მეოხებით, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ურთიერთგამდიდრების ენა გახდა — რადგან სწორედ რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული ლიტერატურა, მთელი ჩვენი კულტურა, ისევე როგორც ყველა ჩვენი მომავალი ხალხის ლიტერატურა და კულტურა, ხელმისაწვდომი, გასაგები და ახლობელი გახდა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ყველა ხალხისათვის. **ჩვენმა ხალხმა კარგად იცის ეს, მტკიცედ ახსოვს და დიდად მადლიერი, მარად მადლობელი იქნება ჩვენი დიდი და კეთილი მეგობრის, ბრძენი და მტკიცე, მამაცი და დიდსულოვანი ჩვენი ძვირფასი ძმის — დიდი რუსი ხალხისა!**

დღეს განსაკუთრებული ძალით და განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს რუსული ლიტერატურის ერთი შესანიშნავი, ბრწყინვალე დიადი თვისება, რუსი ხალხის დიადი თვისება — რომ ნამდვილად ღრმად და ერთგულად, გულწრფელად და ერთგულად, ბატიოს სცემს და აფასებს სხვა ხალხების კულტურას, ღრმა პატივისცემით, მეტიტყოდ. **უაღრესი პატივისცემით,** მაგრამ არა გარეგნულად, არამედ შინაგანად, ორგანული პატივისცემით ეკიდება სხვა ხალხების, სხვა ეროვნებათა კულტურულ განძს, კულტურულ მემკვიდრეობას, ენას, ტრადიციებსა და თავისთავადობას. და სხვა შესანიშნავ ღირსებებთან ერთად რუსული ლიტერატურის, რუსი ხალხის, ეს თვისება შეადგენდა და შეადგენს დიად მიმზიდველ ძალას იმ ხალხებისათვის, რომლებმაც სამუდამოდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი დიდ რუსეთს.

და ამან, რა თქმა უნდა, შეიტანა წილი ქართველ პოეტებსა და მწერლებს. შთაგონებ ბევრი ბრწყინვალე, შთამბეჭდავი და ძალზე თავისებური ნაწარმოებები რუსეთის, გაიმეორებელი, მომხიბლელი რუსული ბუნების, რუსი ხალხის, მისი ისტორიული, რევოლუციური მისიის, რუსული სულის სილამაზისა და სიდიადის, რუსი ადამიანის გულუხვობისა და ხელგაშლილობის შესახებ.

დიდმა ოქტომბერმა, დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო ახალი ეტაპი, ახალი ხანა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განვითარებაში. ინტერნაციონალისტური მეგობრობის საუკეთესო ტრადიციები ახალ მეწვერვალზე აიყვანეს გორკიმ და მაიაკოვსკიმ. ჩვენ განსაკუთრებით გვიამაყება, რომ „მაიარ ჩუდრა“ დაიწერა ბორჯომსა და რომ „საბჭოთა პოეზიის ტრიბუნი“ დაიბადა და გაიზარდა საქართველოში.

ქუთაისში, საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების გახსნაზე საბჭოთა მწერლების დელეგაციის ხელმძღვანელმა, ჩვენმა ძვირფასმა კონსტანტინე მიხეილის-ძე სიმონოვმა საუბრით სამართლიანად შენიშნა, რომ მიაკოვსკი ცხოვრობდა არა მარტო გუშინ, არამედ იგი ცოცხლობს დღესაც და იცოცხლებს მომავალშიც.

ეკითარებ რა ამ აზრს, დღეს ვინდა ვთქვა, რომ მთელი ჩვენი საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურა ცოცხლობდა, ცოცხლობს და იცოცხლებს მარად, იგი გუშინაც, დღესაც, ხვალაც გვეხმარებოდა და გვეხმარება ჩვენ, კომუნიზმს, გვაყალიბებნებს საუკეთესო თვისებებს, საუკეთესო ადამიანურ გრძნობებს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლის მორალურ სახეს.

კომუნიზმისათვის მახლობელია და ძვირფასია პოეზია. თვით კომუნიზმიც ხომ ეშვა არა მარტო მეცნიერული განჭვრეტიდან, არამედ კაცობრიობის საუკეთესო მომავალზე პოეტური ოცნებიდან. კომუნისტებმა კი უნდა იცოდნენ ოცნება, ამას მოგვიწოდებდა ლენინი. ისინიც ოცნებობენ, მათ უყვართ ლექსები, მათ უყვართ და ესმით პოეზია, მათ შეუძლიათ იყვნენ პოეტურნი და ლირიკულნი, როცა საქმე ეხება ადამიანის სულის საუკეთესო მხარეებს გაშუქებას.

განვითარა რა საბჭოთა სოციალისტური კულტურის მარქსისტულ-ლენინური თეორია, და შეეხო ახალი, კომუნისტური კულტურის ქმნადობას, ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა შემდეგი ფუძემდებელი თეზისი: **ჩვენი კულტურა სოციალისტურია შინაარსით, თავისი განვითარების მთავარი მიმართულებით, მრავალფეროვანი — თავისი ეროვნული ფორმებითა და ინტერნაციონალისტური — თავისი სულისკვეთებითა და ხასიათით.** იგი, ამრიგად, იმ სულიერ ღირებულებათა ორგანული შენადნობია, რომლებსაც ყველა ხალხი ქმნის.

ჩვენ ერთხელ ვთქვეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ თვითეული ხალხის, თვითეული ერის ეკონომიკისა და კულტურის აყვავების გარანტია არის ბებრძოლი, შემტევი, მეორარი ინტერნაციონალიზმი. რომ სწორედ ინტერნაციონალიზმია ყველა ხალხისა და ყველა ქვეყნის ლიტერატურების შემდგომი აყვავების გარანტია და ყოველგვარი „არჩაკიტილობა, ყოველგვარი შეზღუდულობა, ემიგრაცია ბროვინციალიზმის ეამოვლინებაც

(დასასრული მე-2 გვ.).

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიაზე

23 ივნისს უნგრეთის დედაქალაქში ჩავიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ბუდაპეშტის აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ლაზარი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

□

ა. ნ. კოსიგინისა და ი. კადარის შეხვედრა

ბუდაპეშტი, 24 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, რომელიც მეთაურობს საბჭოთა დელეგაციას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 29-ე სესიაზე.

საუბარში, რომელიც გულითადად, ამხანაგურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ი. კადარმა და ა. ნ. კოსიგინმა ერთმანეთს გააცნეს, თუ როგორ სრულდება სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმები უნგრეთსა და საბჭოთა კავშირში, მათ კმაყოფილებით დაადასტურეს, რომ წარმატებით ვითარდება უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მრავალმხრივი თანამშრომლობა, მტკიცდება ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის, უნგრეთის სოციალისტური შუამთა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძმური ურთიერთობა ყველა დარგში.

აზრთა გაზიარებამ დაადასტურა ორი ქვეყნის პარტიათა და მთავრობათა შეხედულებების ერთიანობა. საერთაშორისო მდგომარეობის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე.

დადასტურდა, მისწრაფება კვლავაც ყოველნაირად შეუწყონ ხელი მომმე სოციალისტური ქვეყნების ღონისძიებათა გაერთიანებას მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის — მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძალების შემდგომი განმტკიცებისა და შეკავშირებისათვის ბრძოლაში.

□

„სალუტ-4“: ორბიტაზე მუშაობის 30 დღე

ფრუნზის მართვის ცენტრი, 23 ივნისი. (საკდესი). 30 დღეს კოსმოსურ სივრცეში მუშაობენ პეტრე კლიმუკი და ვიტალი სევასტიანოვი — „სალუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის მეორე ეკიპაჟი.

22 ივნისს კომპლექსური აპარატურის საშუალებით კოსმონავტებმა მოაწყეს დედამიწის ზედაპირის ფოტო და სპექტროგრაფირება სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტისათვის. გადაღება მიმდინარეობდა უკრაინის, ვოლგისპირეთის, კავკასიის, ორენბურგის ოლქის, შუა აზიის რესპუბლიკების რაიონებში.

23 ივნისს სამუშაო დღე მეეძღვნა სამედიცინო ექსპერიმენტებს, სიმშვიდის პირობებში წარმოებდა ეკიპაჟის ორივე წევრის სრული ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა. ამავე დღეს კოსმონავტებმა შეასრულეს ფუნქციური კვლევა ვაკუუმური კოსტიუმების გამოყენებით.

ამხანაგები კლიმუკი და სევასტიანოვი ჯანმრთელად არიან. სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. „სალუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის ფრენა გრძელდება.

ქართულ ენაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ბრიშური „მშვიდობისა და საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის“, რომელშიც დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთან შეხვედრაზე 1975 წლის 13 ივნისს.

(საქინფორმი).

ხუთწლედი — ვადამდე!

ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა 24 ივნისისათვის ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 170.702 ტონისა, საკავშირო მწყობზე მიჰყიდეს 171.129 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ზუგდიდელმა მეჩაიეებმა შეასრულეს ხუთწლედი

საუბარი პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანთან ი. თოდუასთან.

— **ზუგდიდის** რაიონის მეჩაიეებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV კონგრესის სასახელოდ შეხვედრისათვის, რამაც ხელი შეუწყო ჩაის ფოთლის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას, — განაცხადა **„კომუნისტის“** საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. თოდუამ.**

რაიონში უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება მიექცა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებას და სიმეჩხრის ლიკვიდაციას. ამის შედეგად გაიზარდა ჩაის მოსავლიანობა და ამან უზრუნველყო ჩაის კრეფის მაღალი ტემპი. რაიონის მეჩაიეებმა ნაცვლად **ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 170.702 ტონისა 24 ივნისისათვის უკვე მიჰყიდეს სახელმწიფოს 171.129 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.**

ახალი ხუთწლედის ანგარიშში მოკრეფილია 400 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. განსაკუთრებით წლევანდელი წლის ნაყოფიერმა შრომამ დაიჩქარა ეს გამარჯვება. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, წლეულს უკვე მოკრეფილია 19.851 ტონა, რომლის პირველი ხარისხი 71,4 პროცენტს შეადგენს.

ახალციხეთის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე **ქ. ცხვირავა**) შარშანდელივით შეასრულა ჩაის კრეფის ხუთწლიანი გეგმა. ახალციხეთელები მას შემდეგ ახალი ხუთწლედის ანგარიშში კრეფენ ჩაის ფოთოლს. ლენინის ორდენოსანი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი **ი. ქანთარია**) მექანიზატორებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, ხუთწლედში გათვალისწინებული 14.877 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 15 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ჩაის კრეფის ხუთწლიანი გეგმა ვადამდე შეასრულეს ოქტომბრის, ახალსოფლის, ნარაზენის, კახათის, ინგირის, რუხის, შამგონის, ჯიხაშკარის კოლმეურნეობებმა; ამბასთუმნის, ნარაზენის, ხეცერის, ზუანურის, ონარის და ანაკლიის საბჭოთა მეურნეობებმა.

მეჩაიეებთან ერთად ამ დიდ წარმატებას ხვიდობენ ქალაქ ზუგდიდისა და მეზობელი რაიონების მშრომელები, რომლებმაც რაიონის მეჩაიეებს დიდი დახმარება გაუწიეს.

24 ივნისს, როცა გაწეულ შრომის შედეგებს ალაპარაკებენ, პარტიის ზუგდიდის რაიკომში გამოირკვა, რომ რაიონის კომკავშრელებისა და ახალგაზრდობის (კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ფიფია**) ხელით მოკრეფილია სულ დამზადებული ნედლეულის 70 პროცენტი. ამ საქმეში კარგად იმოქმედეს ზუგდიდის საწარმოო გაერთიანების ჩაის ფაბრიკებმა (გენერალური დირექტორი **ა. არახამია**), რომლებმაც მეჩაიეთა ნაამაგარი დროულად და ხარისხოვნად გადამუშავეს.

ქების ღირსია ზუგდიდის მეორე აეტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი (დირექტორი **გ. ნარმანია**), რომელმაც ათასობით ტონა ჩაის ნედლეული გადაზიდა ჩაის ფაბრიკებამდე.

სახელოვანი მეჩაიეები ყველა თავდადებით განაგრძობენ მეათე ხუთწლედის ანგარიშში ჩაის ფოთლის კრეფას, წლეულს კიდევ მოიკრიფეს 22.266 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სურათზე: ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ვენერა ჯოლია,** რომელიც ყოველდღიურად 60-70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

თ. ფუტკარაძის ფოტო.

გუშინ თავი ისახელა

პურეულის ჭკაში

წითელწყაროს რაიონის ქვემო ქედის კოლმეურნეობის კომბაინერმა **მიხეილ დიდებაშვილმა** ერთ დღეს აიღო 12 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსაკალი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 27 ცენტნერი მარცვალი. მექანიზატორმა შალვა აზოვმა — 13 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 27 ცენტნერი მარცვალი.

თელავის რაიონის ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერმა **გიორგი ჯუბაშვილმა** ერთ დღეს მომკა 12 ჰექტარი ქერი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 25 ცენტნერი მარცვლეული.

ყვარლის რაიონის გავაზის კოლმეურნეობის კომბაინერმა **დილარ ფაზილოვმა** მომკა 15 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 27 ცენტნერი მარცვალი. კომბაინერი **გივი წაწიკაშვილი** მოსავლის აღების დღიურ ნორმას 160 პროცენტით ასრულებს და საშუალოდ ჰექტარზე ლეწავს 26 ცენტნერზე მეტ მარცვლეულს.

მომავალი წლის ანგარიშში

რუსთავი. (საკ. კორ. ზ. მერკვილაძე). ქიმიური ბოჭკოს ქარხნის (დირექტორი ვ. გრიგელიძე, პარტკომის მდივანი შ. შარაბიძე) კოლექტივმა, რომელიც აბრეშუმის ძაფსა და კორდს უშვებს, ხუთი თვის სახელმწიფო გეგმა 100,4 პროცენტით გაანაღდა. ძმმპკოსებმა ხუთ თვეში შეასრულეს ნაკისრი წლიური ვალდებულება — გეგმის ბადამეტებით გამოუშვეს 400 ათასი ჩასვლის პროდუქცია.

საწარმომ ამ დღეებში დაიწყო ახალი პროდუქციის ჯ. წ. ნოხების, საქსოვი ნედლეულის წარმოება. ეს დიდად გაუმჯობესებს ქარხნის ეკონომიურ მაჩვენებლებს.

ქარხანაში ძველი ტექნიკა ახლით შეცვალეს. ერთი აკრეგატი უკვე დამონტაჟებულია, მეორეც ამ დღეებში დამონტაჟდება. ათვისების პროცესში ახალი პროდუქცია — მონო ბოჭკო, რომელსაც ტრიკოტაჟის წარმოებაში იყენებენ.

ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობა საბჭოთა ლიტერატურის შთაგონების წყაროა

(დასასრული)

ამ გარდუვალად იწვევს ჩამორჩენილობასა და რეგრესს. სხვანაირი ლოგიკა არ არის და არც შეიძლება იყოს.

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ საუკუნეთა მანძილზე დამყარდა რუსული და ქართული კულტურების მჭიდრო კავშირი. მაგრამ ასეთი საუკუნოვანი კავშირი ჩვენს ჩვეულებრივ ხალხებს, მაგალითად, უკრაინულ კულტურასთან, და, ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ასევე შესანიშნავი და დიდი ხნის ტრადიციები.

საბჭოთა ლიტერატურის დღეების გახსნისადმი მიძღვნილ სიტყვაში საღამოზე თავისი შესანიშნავი გამოსვლით ყველანი გააკვიანარა უკრაინელმა პოეტმა ვიტალი კოროტიჩმა, რომელმა საქართველოზე დაწერილ ლექსთა წიგნს მინიშნებული აქვს უკრაინის ლიტერატურული პრემია. ბევრს დაამახსოვრდა ეს გაბედული. მაგრამ განსაკუთრებით გულში ჩამწედომი იყო გამოჩენილი უკრაინელი პოეტის, სოციალისტური შრომის გმირის, ჩვენი ყველაზე ნაცადი მეგობრის მიოლა ბაჟანის მისასალმებელი წერილი, რომელიც კოროტიჩმა წაიკითხა. ჩვენ ეთხოვეთ გადასცეს მან დიდად პატივცემულ ნიკოლოზ პლატონის-ძეს, რომ როგორც ის ეარაუდობდა, საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეები, ყველა ჩვენი მეგობრობის საღამო, მართლაც, **გაწდა ჩვენი ხალხების ლენინური მეგობრობის ნათელი დღესასწაული, ჩვენი კომუნისტური ინტერნაციონალური გრძნობების დაუვიწყარი დემონსტრაცია, ჩვენი ძმობის მკაფიო გამოხატულება.**

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის განვითარების ამოცანებსა და პერსპექტივებზე ჩვენს რესპუბლიკაში უკვე საუბარია გვქონდა გველაპარაკა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა სრულიად საკავშირო თათბირზე, რომელიც გასული წლის აპრილში გაიმართა თბილისში. თათბირის თემა იყო „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატოსანება და სინდისია“. ღარ დავუბრუნდებით უკვე განხილულ პრობლემებს და დღეს გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენმა მწერლებმა, ჩვენმა ლიტერატორებმა უნდა იჩქარონ, არ უნდა ჩამორჩნენ დროს, იჩქარონ შექმნან მატიანე, ჩვენი დღეების ნამდვილი მატიანე, ოყველივე ამის მატიანე, რაც ჩვენს თვალწინ ხდება კომუნიზმის მშენებელ ჩვენს ქვეყანაში.

და ჩვენი ცხოვრების ასეთი მბატერული მატიანე გვჭირდება არა მარტო ჩვენ და ჩვენს შვილებს, ჩვენს შთამომავლებს, არამედ იგი სჭირდებათ მსოფლიოს ხალხებს, ეს მომავალი კაცობრობის ინტერესებს ემსახურება.

რევოლუციური სახალხო ლიტერატურა იყო ჩვენი მუდმივი და ერთგული თანამგზავრი, როცა მუშათა კლასი ბოლშევიკების მეთაურობით უტეედდა ბამორის სასახლეს; მებრძოლი პროლეტარული ლიტერატურა იყო ჩვენი საუკეთესო და სიმღერა თანშემწე გაფფრენილი კლასობრივი ბრძოლების ბერიოდში. 20-იან, 30-იან წლებში ჩვენი ლიტერატურა და მისი მოწინავე რაზმი — პუბლიცისტიკა, რომელიც ბრძოლით იწეოდა დაბავერვას, ადიოდა ახალშენებლობათა ხარაჩოებზე, ხუთწლედების ხარაჩოებზე, მობილიზებულად და გაწვეულად გამოიცხადა თავი ჩვენმა ლიტერატურამ დიდი სამამულო ომის წლებში. მან მაიაკოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, კალაში ხიშტს გაუთანაბრა.

ახლა ჩვენი საერთო-სახალხო საქმეა მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრება და ჩვენი ლენინური პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრა. და რაკი ეს საერთო-სახალხო საქმეა. მაშასადამე, ეს არის ჩვენი მწერლების საქმეც, და ისინი, როგორც ყოველთვის არიან მეწინავე პოზიციაზე, მეწინავე ხაზზე, ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომი ინტენსივობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ყველაზე მეწინავე მიჯნებზე.

ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც დღეიდან ასაზრდოებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დაუშრეტელი ცხოველმყოფელი წყარო, გვერდს ვერ აუვლის და არც აუვლის პროცესებს — როგორც პოზიტიურს, ისე ნეგატიურს, — რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარეობს.

დღეს ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ამაზე ვილაპარაკოთ დიდი მადლობისა და დიდი მადლიერების გრძნობით, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ბევრი წამყვანი მწერალი განსაკუთრებული ძალით ეხმაურება და მგზნებარედ მონაწილეობს ყველა იმ დადებით მოვლენასა და პროცესში, რომლებიც ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე; მონაწილეობს ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის ახალი ძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში, სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლების, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისათვის ბრძოლაში, ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა, კერძომესაკუთრულ ტენდენციათა, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და მექრთამეობის, ბროტექციონიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტების აღმოფხვრისათვის, რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრებისათვის, მაღალი პარტიული მომთხოვნელობის და მზრუნველობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ მუდამ ვგრძნობთ დიდ უფროსდებასა და უცვლელ მხარდაჭერას, რომელსაც გვიწევენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი, დიდად პატივცემული კონსტანტინე მიხეილის-ძე სიმონოვი, აგრეთვე აქ დამსწრე ბევრი ძალიან ძვირფასი ამხანაგი და ისინი, რომლებიც დღეს არ არიან ამ დარბაზში, მაგრამ თავიანთი სულიერი წვლილი შეეტანეს ქართული კულტურის მიღწევათა პროპაგანდაში.

ჩვენ დიდ მადლობას მოვახსენებო ყველას, ვინც ამ დარბაზში შეიკრიბა, საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების ყველა მონაწილეს, ყველა ჩვენს დიდად პატივცემულ სტუმრს, ყველას, ვინც გვიწევია ჩვენი ხალხების ძმობის შესანიშნავ დღესასწაულზე. ჩვენს ლიტერატურათა მეგობრობის დღესასწაულზე.

დღეს, ამხანაგნო, დიდი მადლიერების სიტყვებით მინდა მივმართო საქართველოს მთელ მწერალთა საზოგადოებრიობას იმ უდიდესი დახმარებისათვის, იმ უუდმივი მზრუნველობისათვის, რომლებსაც იგი უწევს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ჩვენს წინაშე აღძრული ყველა ძრავალფეროვანი საკითხისა და პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის. დღეს ჩვენ შეგვიძლია მთელი რწმენით, სრულიად გარკვეული ვთქვათ: **ყველაფერი, რაც აწუხებს, ყველაფერი, რაც აფიქრებს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, აწუხებს და აფიქრებს ჩვენს მწერალთა საზოგადოებრიობასაც.** და ეს გვახარებს!

ჩვენ დიდ მადლიერების სიტყვებით მივმართავთ მოსკოველ და ლენინგრადელ მწერლებს — თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის მოწინავეებს, საბჭოთა მწერლების მებრძოლ ავანგარდს, რომელიც ფართოდ გვიკალავს კომუნისტური საზოგადოების ლიტერატურის მთავარ გზას.

ჩვენ მადლიერების სიტყვებით მივმართავთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის — რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის, ბელორუსიისა და უზბეკეთის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის, ლიტვისა და ბოლდავეთის, ლატვიისა და ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და სომხეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის მწერლებს იმ ღირსეული წვლილის გამო, რომელიც მხატვრული სიტყვის ოსტატებს შეაქვთ მომძე საბჭოთა ხალხების წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში, იმის გამო, რომ ისინი გვეხმარებიან ჩვენ, მთელ ჩვენს პარტიას მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და ყოველისმძლე ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდაში.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ქვეყნის მომძე ხალხებთან მეგობრობით, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიც ყველაფერს აკეთებს და გააკეთებს იმისათვის, რომ განვითარდეს და ამაღალოს ის სახელოვანი ტრადიციები, რომლებიც ჩვენ ჩამოგვიყალიბდა, ჩვენ ყოველნაირად გაეფერთხილოდნი და განვამტკიცებთ ჩვენს წმიდათაწმიდა მეგობრობას და ძმობას.

განსაკუთრებული გრძნობით მივმართავთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის — რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის, ბელორუსიისა და უზბეკეთის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის, ლიტვისა და ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და სომხეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის მწერლებს იმ ღირსეული წვლილის გამო, რომელიც მხატვრული სიტყვის ოსტატებს შეაქვთ მომძე საბჭოთა ხალხების წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში, იმის გამო, რომ ისინი გვეხმარებიან ჩვენ, მთელ ჩვენს პარტიას მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და ყოველისმძლე ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდაში.

ჩვენ ამ ადგილას ჩვენი ქვეყნის მომძე ხალხებთან მეგობრობით, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიც ყველაფერს აკეთებს და გააკეთებს იმისათვის, რომ განვითარდეს და ამაღალოს ის სახელოვანი ტრადიციები, რომლებიც ჩვენ ჩამოგვიყალიბდა, ჩვენ ყოველნაირად გაეფერთხილოდნი და განვამტკიცებთ ჩვენს წმიდათაწმიდა მეგობრობას და ძმობას.

ამ ადგილას ეს ფარული ფიქრი, ეს ფარული ოცნება, ეს ფარული ლოდინი, ეს ფარული ეჭვი,

არცერთი თავთავი-მინდვრად, არცერთი მარცვალი-ნამჯაში!



— კასეთია კონტროლიორთა დევიზი

მოსავალი ის არის, რაც ბელელშია

ეფექტიან რუსთაველ კონტროლიორთა გამოცდილებას

ხელფასის ფონდებს არასწორად ხარჯავენ

მ ა კ ა გვაჩქარებს

ამჟამად ყველაზე მთავარი საზრუნავი რაიონში, მათ შორის ჩვენს კოლმეურნეობაში პურეულის მოსავლის აღება და პირუტყვის საკვების დამზადებაა. კოლმეურნეობის ბამგეომა, პარტიული ორგანიზაცია ისე გეგმავენ და წარმართავენ მთელ მუშაობას, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაშია აღნიშნული. ოპერატიულობა საქმეში, დისციპლინა მუშაობაში, ზუსტი აღრიცხვა, კონტროლი პროდუქციის წარმოებისა და დამზადებაში გადამწყვეტია არა მარტო შეჯიბრებაში, არამედ ხუთწლედის საერთო წარმატებაში.

ჩვენი კოლმეურნეობა 1.170 ჰექტარზე აღებს პურეულის მოსავალს, დაამზადებს 805 ტონა სენაჟს, 300 ტონა თივას, 200 ტონა თივის ფქვილს და სხვა საკვებს. ეს, დიდ შრომასთან ერთად, მოითხოვს შრომის კარგ ორგანიზაციას, კონტროლს, სიფხიზლეს, რათა არ გაცუდდეს და დაიკარგოს არც ერთი მარცვალი მინდვრად, ნამჯაში, საველე კალოზე თუ ბელელში.

სახალხო კონტროლის ჯგუფმა, რომელშიც 6 ამხანაგია გაერთიანებული, მიიღო და დამტკიცა ერთიანი სამოქმედო გეგმა, შეიქმნა ოთხი დამატებითი საგუშაგო. მათი ხელმძღვანელობა დაეკალა მოწინავე რიგითს კოლმეურნეებს: ხ. პოპიაშვილს, ა. ფიროსმანაშვილს, ს. ბენაშვილს, გ. გონაშვილს, ისინი არა მარტო კონტროლს ახორციელებენ, არამედ იქტიურ შრომითს მონაწილეობას იღებენ მოსავლის აღების მთელ საშუშაოებში.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გვაქვს საველე კალოსა და დამამზადებელ პუნქტში პირველადი აღრიცხვის შემოწმება, რეიდების მოწყობა მოსავლის აღების ვადებისა და ხარისხის დაცვის, პირუტყვის საკვების დამზადების, ფერმებში მისი გადატანის საკითხებზე. მუშაობას მოსავლის აღების მთელ პერიოდში ისე ვაწყობთ, რომ საგუშაგოებს, სახალხო კონტროლიორებს ყოველდღიური კავშირი ჰქონდეთ ჯგუფის მეთაურთან — ცენტრალურ შტაბთან.

უთუოდ ვითვალისწინებთ მუშაობაში გასული წლის ნაკლოვანებებს. მარშან, მემინდვრეობის მეორე ბრიგადის კომბაინერთა დაუდეგრობის გამო, ადგილი ჰქონდა მარცვლეულის დანაკარგებს, ნამჯის გაცუდებას. ეს დროზე შენიშნეს სახალხო კონტროლიორებმა და კოლმეურნეობას ზარალი აიცდინეს, დამნაშავეებს კი კოლმეურნეობის გამგეობამ სათანადო მიუზღო.

სახალხო კონტროლის ჯგუფი, ყველა მისი წევრი მხარში უდგას კოლმეურნეობის გამგეობას, პარტიულ ორგანიზაციას, რათა მოსავლის აღების მეტად სპასუხისმგებლო კამპანია ჩავატაროთ დროზე, მაღალხარისხოვნად, საქმით ვუპასუხოთ ჩვენმოქედელთა პატრიოტულ მოწოდებას — „არც ერთი თავთავი — მინდვრად, არც ერთი მარცვალი — ნამჯაში!“

მ. ფიროსმანაშვილი,
წითელწყაროს რაიონის ხოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

□

ა ლ ო ო ბ ა ი წ ყ ე ბ ა

მოსავალი 10-12 დღეში უდანაკარგოდ რომ ავიღოთ, წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ ყველაფერი, რაც კი ამ საქმის წარმატებით ჩატარებისათვის არის საჭირო. ეს ბევრს ეხება სახალხო კონტროლიორებსაც. ჩვენს კოლმეურნეობაში წლეულს თავთავიანი კულტურები 1.253 ჰექტარია ასაღები.

ალოობისათვის მზადებას დროულად შევდგიქით, შეგადგინეთ მოსავლის აღების კალენდარული გეგმა, პურეულის ბაზე იმუშავებს 8 კომბაინი. მომარაგებული გვაქვს ბრეზენტები, ტომრები, მზად არის მარცვლის საწმენდები და სანიაღვენელი მანქანები, ყველა კომბაინზე და საველე საწყობებში მიმაგრებული იქნებიან სახალხო კონტროლიორები, რომელთა მოვალეობაა აღიკვეთოს როგორც მარცვლეულის, ისე ნამჯის დანაკარგები.



ჩვენმა მექანიზატორებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წითელწყაროს რაიონის ქვემო ქედის კოლმეურნე მექანიზატორების თაოსნობის მოსავლის 12 სამუშაო დღეში აღების შესახებ. ამ თაოსნობის საპასუხოდ ჩვენმა კომბაინერებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. ერთმანეთს შრომითს მეტოქეობას გაუწევენ ფ. ლალიაშვილი და ო. ნათელაშვილი, დ. ფოლადაშვილი და ს. ისაშვილი, თ. სეთური და შ. დუდაური. მათი დევიზია: არცერთი თავთავი მინდვრად, არცერთი მარცვალი ნამჯაში!

გამარჯვებულთა წახალისებისათვის დაწესებულია ფულადი ჯილდოებიც. ის კომბაინერი, რომელიც პირველ ადგილზე გამოვა, მიიღებს ჯილდოს — 30 მანეთს. ფულად ჯილდოს მიიღებენ ავრეთვე საშემდგომო ხვნასა და თესვაში დაწინაურებული მექანიზატორები. ამ დაძაბულ დღეებში სახალხო კონტროლიორები იქ იქნებიან, სადაც წყდება წლეანდელი მოსავლის აღების ბედი.

ალოობის დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა. ჩვენ ერთხელ კიდევ გადავეხედავთ — ხომ არაფერი დაგვავიწყდა, ხომ არაფერი გვაკლია ამისათვის, რომ წარმატებით გავანაღდოთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები.

ბ. ნათელაშვილი.
დუშეთის რაიონის ბაზალეთის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ს ე ნ ა ჟ ი — კონტროლზე

ყლეულს დიდი ამოცანების წინაშე დგანან გარდაბნელი საკვებმომპოვებლები. მათ 42.000 ტონა სენაჟი უნდა ჩაიღონ. ეს ოდენობა ორჯერ მეტია, ვიდრე შარშანდელი გეგმა იყო. ცხადია, სენაჟის ჩაღების ასეთი მკვეთრი ზრდა მთელი ძალების მობილიზაციას და ამ მიმართებით დიდ ორგანიზატორულ მუშაობას მოითხოვს.

რით დავებმაროთ საბჭოთა მეურნეობებს ამ ამოცანის შესრულებაში, როგორ შეეუწყოთ ხელი საკვებმომპოვებლებს დროულად და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ ეს პასუხსაგები კამპანია? აი ძირითადი საკითხები, რაზეც ამას წინათ ფართო სკამაისი გააჩაღეს სახალხო კონტროლიორებმა. გადაგწყვეტეთ სასენაჟე ორმოებთან შეგვეკრიბნა სახალხო კონტროლის დამატებითი საგუშაგოები.

ჯანდარის, თელეთის და ციროვის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც სენაჟის ჩაღება არც თუ ცუდად მიმდინარეობს, სახალხო კონტროლიორებმა შენიშნეს, რომ დაცული არ იყო სასენაჟე მასის შეკვრნობის ნორმები, აგრეთვე აჭიანურებდნენ სასენაჟე ორმოების გაწმენდასა და მომზადებას, არც ტემპი იყო დაჩქარებული. ეს საკითხები სახალხო კონტროლიორებმა მაშინვე აქცევს მსჯელობის საგნად. არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ცალკეული ფაქტები სახალხო კონტროლიორების პრინციპულ მოთხოვნით განხილულ იქნა მეურნეობათა მარტიულ ორგანიზაციების კრებებზე და მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი. ამან თავისი შედეგიც გამოიღო. მაგალითად, თელეთის საბჭოთა მეურნეობაში უკვე ჩადეს 3000 ტონაზე მეტი სენაჟი, მაშინ, როცა გეგმა 2.000 ტონას ითვალისწინებს. სენაჟის ჩაღების ტემპები საკმაოდ გაძლიერდა ავრეთვე ციროვის, ჯანდარის და რაიონის სხვა საბჭოთა მეურნეობებში. 23 იენისისათვის რაიონში სულ ჩაღებული იყო 20.000 ტონამდე სენაჟი. ცხადია, წინ კიდევ უდიდესი სამუშაოებია.

გაორკეცებული გეგმა თავისთავად აყენებს საკითხს ახალი, დამატებითი სასენაჟე ორმოების მშენებლობის შესახებ. ეს საკვებმომპოვებელთა საქმნობაში ახლი ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია და დიდ მუშაობას მოითხოვს. რაიონის სახალხო კონტროლიორეს ყველა ახალი ორმოს (მათი რიცხვი 15-ია) მშენებლობა სპეციალურ კონტროლზე აყავთ აყვანილი. კონტროლიორებმა უკვე წამოაყენეს თავიანთი კონკრეტული წინადადებები ორმოების მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებების დასაძლევად. სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა ამ წინადადებათა თათბაზე უკვე იმსჯელა თავის სხდომაზე და სათანადო მითითებაც მისცა კონტროლიორებს შემდგომი მოქმედებისათვის.

თვითეული ტონა სენაჟი — მტკიცე კონტროლზე! ამ დევიზით გაჩაღებულ ლაშქრობაში უკვე მიღწეულია პირველი შედეგები.

ბ. ცინდელიანი.
გარდაბნის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ადგილობრივ კორესპონდენტებზე

ბ ო ლ ნ ი ს ი

ცენტრალურ ავტოსადგურში მოძრაობის განრიგის დაცვის, ავტომანქანების ტექნიკური მდგომარეობისა და მგზავრთა მოსახურების თათბაზე თავისი დადგენილების შესრულება შეამოწმა ბოლნისის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა. აქ კარგა ადგილი აქვს მოძრაობის განრიგის ნაშლას და ავტომანქანების დაგვიანებით გამოცხადებას. 1975 წლის პირველ ოთხ თვეში ავტოსადგურში ავტომანქანების გამოუცხადებლობის 2.437 შემთხვევა იყო. ხშირად რეისიდან დაბრუნებული ავტომანქანები არ ცხადდებიან საღამოპერეროში სამუშაოს დასამთავრებლად და აღრიცხვაზე გასატარებლად. არის უბილეთო მგზავრების გადაყვანის შემთხვევები და სხვ.

ხ ა შ უ რ ი

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სადგურში ვაგონების დაცლისა და ტვირთების დროულად გატანის საქმეში არსებული ხარვეზული ნაკლოვანებების შესახებ თავისივე შარშანდელი დადგენილების შესრულება შეამოწმა ბორჯომის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა. აქ კარგა ადგილი აქვს მოძრაობის განრიგის ნაშლას და ავტომანქანების დაგვიანებით გამოცხადებას. 1975 წლის პირველ სამ თვეში ავტოსადგურში ავტომანქანების გამოუცხადებლობის 2.437 შემთხვევა იყო. ხშირად რეისიდან დაბრუნებული ავტომანქანები არ ცხადდებიან საღამოპერეროში სამუშაოს დასამთავრებლად და აღრიცხვაზე გასატარებლად. არის უბილეთო მგზავრების გადაყვანის შემთხვევები და სხვ.

ბ ო რ ჯ ო მ ი

სოფლის მოსახლეობის საგაჭრო მომსახურებისა და რაიოპერატივის გამგეობის მუშაობის ნაკლოვანებების შესახებ იმსჯელა სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა. გამეორებამ ერთგვარად გაუმჯობესა მოსახლეობის საგაჭრო მომსახურება, მაგრამ გატარებული ღონისძიებანი ჯერ კიდევ საკმარისი არ არის საქონელბრუნვის გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად. რაიოპერატიგმა ირღვევა საფინანსო დისციპლინა. კრედიტორულმა დავალიანებამ 120,0 ათასი შეადგინა, სათანადო ყურადღება არ ექცევა ჩამოფასებული საქონლის რეალიზაციის და სხვა საკითხებს.

თ ე თ რ ი წ ყ ა რ ო

რაიონის კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა მარცვლეული და სოფლის სხვა კულტურების მოსავლის აღების მზადყოფნის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ მიმდინარე წელს მოსავლის აღებისათვის მზადება რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მაგალითად, ორბეთის, გრასის, მანგლისის, ბორნალოს მეურნეობებში შემოწმების დროს დამთავრებული არ იყო მარცვლის ასაღები კომბაინების სარემონტო სამუშაოები. „საქსოფლტექნიკის“ განყოფილება ნაკლებად ზრუნავს სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაზე და ა. შ.

ა ბ ა შ ა

მინერალური სასუქების შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების მდგომარეობა შეამოწმა სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა. გამოირკვა, რომ რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არა აქვთ მინერალური სასუქების შესანახი საწყობები, თვით ქრიმიტიული ფარდულებიც კი, რის გამოც ხშირად სასუქი ღია ცის ქვეშ ყრია და ხარისხს კარგავს, მაგალითად, შემოწმებისას მარნის კოლმეურნეობაში ფოსფორიტი და კალიუმიანი სასუქები ღია ცის ქვეშ ყარია. ასეთივე მდგომარეობა იყო ბერეული ჩასის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ზ უ ბ ა ხ ი ე ვ ი

მოსახურების სფეროს ორგანიზაციების ხუთდა ფულით უზრუნველყოფის შემოწმების შედეგები განხილა რაიონის კონტროლის კომიტეტმა. როგორც გამოირკვა, ამ საქმეში ორის ხერხიზული ნაკლოვანებები. საკაგრო, საყოფაცხოვრებო და ტრანსპორტო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ დაუწესებიათ ფულის ლიმიტი, ასევეთვე მდგომარეობაა რაიოპერატივის, საზკვების საგაჭრო ორგანიზაციებში.

საბურთალოს მასივში კარგა ხანია სასმელ წყალს მოსახლეობას გრაფიკით აწვდიან. „თბილწყალკანალის“ საწარმოო სამმართველოდან გვპირდებიან, გრაფიკი მალე გაუქმდებაო, მაგრამ ამაოდ.

მკითხველის წერილიდან.

დაბირება ფვეთოგვით.
ბ. ლომიძის ნახატი.

უყაირათობა

სამრეწველო საწარმოებში, ორგანიზაციებში, მშენებლობებსა და დაწესებულებებში ხელფასის ფონდის რაციონალურად გამოყენების თაობაზე სკკპ XXIV ყრილობის მითითებათა შესრულების შესახებ იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა. როგორც აღინიშნა, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მიერ სათანადო კონტროლის დაუწესებლობით ზოგიერთმა სამრეწველო საწარმომ და მოიჯარე ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ოდენობით გადახარჯა ხელფასის ფონდები. მაგალითად, 1974 წელს რესპუბლიკის 864 საწარმომ და ორგანიზაციამ 16.326 ათასი მანეთი გადახარჯა.

ხელფასის ფონდის დიდი გადახარჯვა ჰქონდათ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს (მინისტრი თ. დავითაშვილი), მშენებლობის სამინისტროს (მინისტრი მ. მეძმარაშვილი), კვების მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი რ. კობელიძე), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს (მინისტრი ვ. სობოლევი), მხუბუქი მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი გ. გამცელიძე), სახოფლო მშენებლობის სამინისტროს (მინისტრი ი. ბარამეზოვი), ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი მ. მაღრაძე) საწარმოებს.

მრავალ საწარმოსა და სამშენებლო ორგანიზაციას შარშან არ შეუსრულებია შრომის ნაყოფიერების გეგმა, რითაც ხელფასზე 27,2 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია დაკარგა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ოც სამშენებლო ტრესტიდან რვამ ამავე მიზეზით არ შეასრულა 3,7 მილიონი მანეთის სამშენებლო სამონტაჟო საშუშაოები. ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში მუშების დიდი დენადობა და სამუშაო დროის არამწარმოებლური დანაკარგები იყო. სამრეწველო საწარმოები დატოვა მუშების 36,6, ხოლო სამშენებლო ორგანიზაციები 76,0 პროცენტმა. მუშების დიდი დენადობა იყო ხაზებ მასალათა მრეწველობაში (48,0 პროცენტი), კვების მრეწველობაში (39,6 პროცენტი), საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ხაზით (75,1 პროცენტი) და სხვ.

გაცდენების, მთელი დღისა და ცვლის შიდა მოცდენების, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის მიზეზით დანაკარგებმა მრეწველობის, მშენებლობისა და ავტოტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში 1974 წელს 2.388,4 ათასი კაცდღე, ანუ ერთ მუშაზე 5,6 დღე შეადგინა, ეს კი სამუშაოზე 9.000 მუშის ყოველდღიურად გამოუცხადებლობას უდრის. სამუშაო დროის ამ სახის დანაკარგების შედეგად რესპუბლიკის მრეწველობას წელიწადში 109 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია არ გამოუშვია, ხოლო სამშენებლო ორგანიზაციებმა 5 მილიონ მანეთამდე მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები არ შეასრულეს. სამუშაო დროის დიდი დანაკარგები ჰქონდათ სავატომობილო ტრანსპორტს, საშენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებს და სხვ. ისიც აღსანიშნავია, რომ წარმოებისა და შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის შედეგად შარშან მარტო მრეწველობაში ანამწარმოებლურმა დანაკარგებმა ხელფასზე 2,1 მილიონი მანეთი შეადგინა. ბევრგან მოუწესრიგებელია შრომის ნორმირების საკითხიც. შარშან, მაგალითად, ქარხანა ოქტომბერსწყემ (უოფილი დირექტორი კ. თათარაშვილი) შრომის ნაყოფიერების გეგმის 85.6 პროცენტით განაღდების პირობებში ხაშუალო ხელფასის გეგმა 94,3 პროცენტით შეასრულა და ხელფასის ფონდი 121,0 ათასი მანეთით გადახარჯა. ანალოგიურ მდგომარეობა შეიქმნა თბილისის ტყავგალანტერიის ფაბრიკაში (მთავარი ინჟინერი ა. აგიკოვი), ქუთაისის ტყავის კომბინატში (დირექტორი რ. ბაბუნაშვილი), ხაშურის საფეიქრო-ხაგალანტერეო ფაბრიკაში (დირექტორი მ. ნიკურაძე), საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტში (მმართველი ვ. გოგოლაძე) დ. სხვ.

ხელფასის ფონდის გადახარჯვის ფაქტები რესპუბლიკის ზოგიერთმა საბიუჯეტო ორგანიზაციამაც დაუშვა. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხაზით გადახარჯულია — 389,1 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით — 50 ათასი მანეთი და ა. შ.

შემოწმებით გამოვლინებულია საშტატო დისციპლინისა და სატარიფო განაკვეთების უხეშ დარღვევათა ფაქტები. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მუშების ხარჯზე აყვანილი ჰყავდათ 638 დარაჯი 460,0 ათასი მანეთი ხელფასის წლიური ფონდით. ამ მხრივ დარღვევები იყო აგრეთვე წმინის ავტოსატრანსპორტო საწარმოში, საქართველოს სსრ საოფლო მშენებლობის სამინისტროს სიღნაღის № 4 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 11 ტრესტის ფოთის მრეწველობინაცეში.

დადგენილია აგრეთვე სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ზედმეტი რაოდენობით შენახვის, ტარიფებისა და თანამდებობრივი განაკვეთების ხელოვნურად გადიდების, შესრულებულ სამუშაოთა მოცულობაზე მიწერების, შეუსრულებელ სამუშაოს ანაზღაურებისა და ნორმებისა და ფასდებების არასწორად მოყენების ფაქტები.

ხელფასის ფონდის ხარჯვის საკითხში შემოწმებით გამოვლინებული ნაკლოვანებები და დარღვევები იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების, საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები არასაკმაოდ სწავლობენ ეკონომიკის საკითხებს. სათანადო შეფასებას არ აძლევენ მათს მნიშვნელობას და ამით ხალხმეურეობის დიდ ზიანს აყენებენ, ფორმალურად ეკიდებიან ხელფასის ფონდების გადახარჯვის ანაზღაურების ღონისძიებათა შემუშავებას და ა. შ.

სსრ კავშირის სახმინაკის და მშენებინაკის საქალაქო და რაიონული განყოფილებები ხელფასის ფონდის გადახარჯვის მიზეზებს შესწავლისას ყოველთვის არ ირკვევენ სათანადო პრინციპულობას თავისივე წინადადებების შესრულებაზე შემდგომი კონტროლის განხორციელების საქმეში. ზოგიერთი სამინისტროს, უწყების, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების სახალხო კონტროლის ჯგუფები კონტროლს არ უწევენ ხელფასის ფონდის ეკონომიურად ხარჯვას.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ამ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება, რომლითაც სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა ხელმძღვანელებს დავალათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხელფასის ფონდის რაციონალურად გამოყენების თაობაზე სკკპ XXIV ყრილობის მითითებათა შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

კომუნისტი

მასების კონტროლით!

სახალხო კონტროლის გვერდი № 101

მიზანი: გამოცდილების გაზიარება

რუსთავში გაიხსნა სახალხო კონტროლიორთა მუშაობის ამსახველი გამოფენა-დათვალიერება

რუსთავის სახალხო კონტროლიორებმა თავიანთ ფართო და შემოქმედებითს საქმიანობაში დიდი გამოცდილება დაგროვეს. ეს გამოცდილება და მიღწევა ყველასათვის ხელმისაწვდომი რომ გახადონ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს — ქიმიკოსის კულტურის სახლში მათ გამოფენა-დათვალიერება მოაწყეს.

გამოფენა-დათვალიერება მოეწყო დევიზით: „სახალხო კონტროლის მუშაკები სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე“.

შედიხართ ფრცელ დარბაზში. კედლებზე, აგრეთვე სპეციალურ ფარებზე წარმოდგენილია ცალკ-ცალკე საწარმოთა სახალხო კონტროლიორების მუშაობის ამსახველი მდიდარი მასალები. ისინი გამოირჩევა თემების მრავალფეროვნებით, ფოტოდოკუმენტების სიმრავლით. აქვეა ასახული ის ეკონომიური ეფექტი, რაც კონტროლიორთა საქმიანობით არის მიღწეული.

„სახალხო კონტროლიორები მოქმედებაში“ — ამ საერთო წარწერის ქვეშ ეცნობით ეტიმენტის ქარხნის სახალხო კონტროლიორების მუშაობის შედეგებს. ი ი ზოგიერთი რამ: კონტროლიორებმა მიზნად დაისახეს მინიმუმამდე შეამცირონ რკინიგზის ვაგონების მოცდენა. 1974-1975 წლებში მათ ამ მხრივ 32 ათასი მანეთი დაუზოგეს წარმოებას. ამასთანავე 30 კონტროლიორი დაჯილდოდა „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ ნიშნით...

„ჩვენი კომბინატი, ჩვენი სიამაყე“ — ამ განყოფილებაში წარმოდგენილია მასალები ქიმიური კომბინატის სახალხო კონტროლიორების სიახლეთა შესახებ. ქიმიურმა კომბინატმა კი, როგორც ცნობილია, მესამე წელია, რაც თავი დაადწია ჩამორჩენას და მოწინავე საწარმოთა რიგებში ჩადგა. ამ დაწინაურებაში დიდი სახალხო კონტროლიორებს როლი. სწორედ ამას ასახავს მასალები, რომლებიც წარმოდგენილია განყოფილებით: „კარგი საწარმოო მაჩვენებლებით შეეხვედეთ სკკპ XXV ყრილობას“.

„სახალხო კონტროლიორთა მონაწილეობით“, „კომკავშირული პროექტორი“, „კონტროლიორი და ტექნიკური პროგრესი“, „იეოდეთ წუთის ფასი“... ასეა დასათაურებული საკმაოდ მდიდარი მასალები, რომლებიც მეტალურგიული, ქიმიური ბოჭკოს და ამწვემშენებელი ქარხნების, აგრეთვე ინსტიტუტ „ავტომატგრომის“, ქარხანა „ცენტროლიტის“, № 1 სამშენებლო ტრესტის, ქალაქის კომუნალური, ვაჭრობის, საზკვების, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების მუშაობას ასახავს. აქ გამოსახულია ის შედეგები, რაც მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ხარისხის გაუმჯობესების, მასალებისა და ნედლეულის ეკონომიურად ხარჯვის და სხვათა საქმეში, როგორია ამ მხრივ სახალხო კონტროლიორების წვლილი.

გამოფენა-დათვალიერება 17 ივნისს გაიხსნა და 14 დღეს გასტანს. მის სანახავად მოვიდნენ ქალაქის პარტიული, საბჭოური და პროფკავშირული აქტივი, სახალხო კონტროლიორები, თბილისიდან და რუსეთის რაიონებიდან ჩამოსული სახალხო კონტროლის კომიტეტების პასუხისმგებელი ამხანაგები, პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკები.

ზ. მერკვილაძე.

კონტროლიორები ქმოწმებენ

ნალენჯიხის რაიონის მიქავას ხახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. კვარაცხელია) ჭერ კიდევ შარშან სექტემბერში შეასრულა მეცხრე ხუთწლედის გეგმა. ახლა კოლმეურნეობის თვითეული წევრი იბრძვის ახალ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის. ცოტა ხაზრუნავი როდი აქვთ ამ სურათზე აღბეჭდილ მეჩიაეებს — სახალხო კონტროლიორებს. ისინი სისტემატურად ამოწმებენ ჩაის ფოთლის ხარისხს. თვითეული მათგანი გადაჭარბებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

სურათზე: მიქავას ხახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, ხასოფლო ხაბჭოს დეპუტატი მ. კვარაცხელია, სახალხო კონტროლიორები ნ. კვარაცხელია, ა. კვარაცხელია და რაიონული ხაბჭოს დეპუტატი ლ. კვარაცხელია ამოწმებენ ჩაის ფოთლის ხარისხს.

ბ. გიგოხიას ფოტო.

ეს სიგნალი სახალხო კონტროლის წულუკიძის რაიონულმა კომიტეტმა მიიღო. იგი კიდევ დადასტურდა.

სოფელ ქუტირის მეგობარსტანცია-მეურეეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი შ. კობეშავიძე, ყოფილი ნთაგარი ბუღალტერი ს. გრიგოლია), ვიხაც და როგორც უნდა ისე უნიშნავენ ხელფასს. 1974 წლის 15 მაისს მეურნეობის დირექტორის ბრძანებით № 1 და № 2 ბრიგადებში საბავშვო ბაღების გამგეებად დანიშნენ ნ. ქაკაბაძე და ს. დანელია. პირველს ყოველთვიურ ხელფასად 115 მანეთი განუსაზღვრეს, ხოლო მეორეს — 105 მანეთი. კეთილი და პატიოსანი. ორთან სასარგებლო და აუცილებელია, რომ მეურნეობის დირექტორ ფიქრობს. ცდილობს და იღვწის იმისათვის, რომ მუშებს ნორმალური პირობები შეუქმნას ნაყოფიერი და სასარგებლო საქმიანობისათვის, მაგრამ სად არის საბავშვო ბაღები... ისინი ფაქტიურად არ არსებობდნენ, ხელფასებს კი მოწყალე ხელმძღვანელები არაფრისათვის აძლევდნენ ე. წ. გამგეებს. სულ უკანონოდ გაცემულია 734 მანეთი და 56 კაპიკი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ აქ დაუშვეს ნახევარი განაკვეთის ბუღალტრის შტატი საბავშვო ბაღების მომსახურებისათვის. ბუღალტერი თ. ცაგარეიშვილი ამ თანამდებობაზე ხელფასის სახით 33 მანეთს იღებს თვიურად.

მ ო წ ყ ა ლ ე ბ ა სახელმწიფოს ხ ა რ ჯ ზ ე

მეურნეობის დირექციამ საბავშვო ბაღების ადმინისტრაციული პერსონალი არ გაატარა რეგისტრაციაში, უფრო მეტიც, მათი ხელფასი გასცეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო ხელფასიდან, რითაც უხეშად დაარღვიეს საფინანსო დისციპლინა.

ახლა ამ დარღვევების საღიკვიდაციოდ დაისახა სათანადო ღონისძიებანი, მაგრამ ჭკუის სასწავლელად გამოდგება?

ლ. გედენიძე.

ჯგუფის ინიციატივით

ყ ვ ე ლ ა რ ო მ გულით ვრომოგდეს

იმ წარმატებებში, რომლებიც სოფელ უდის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ მოიპოვა გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებაში, გარკვეული წვლილი შეიტანეს სახალხო კონტროლის ჯგუფმა, რომელიც თავის რიგებში 51 წევრს ითვლიანებს. მეცხოველეობის ყველა ფერმასა და მემინდვრეობის ყველა ბრიგადაში მოქმედებს კონტროლის საგუშაგო. კოლმეურნეობაში სულ 17 საგუშაგო გვაქვს შექმნილი თვითეული სამ-სამი წევრით. სახალხო კონტროლიორთა უმრავლესობა თავიანთ უბნებზე ფრთხილად ადევნებენ თვალს საკოლმეურნეო შრომის დისციპლინას, შესრულებული სამუშაოს ხარისხს, საკოლმეურნეო ფოლადის დაცვას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ისინი ძირითადად ადგილზევე ყველაფერს აკეთებენ ამა თუ იმ ნაკლის აღმოსაფხვრელად, ხოლო როცა საამისოდ ძალა არ შეწევთ, სასწრაფოდ გვაწვდიან სიგნალს კონტროლის ჯგუფის, პარტიული კომიტეტის ან კოლმეურნეობის გამგეობის ხელმძღვანელთა მსჯელობის საგნად ხდინ საკითხს.

სწორედ საქმეში კონტროლის ჯგუფის წევრების თ. მამასახლისაშვილს, გ. თათიშვილს და სხვათა აქტიური ჩარევით გაუმჯობესდა მეცხოველეობის ფერმის მუშაკთა შრომისა და დასვენების პირობები. ფერმაში მოეწყო წითელი კუთხე, სადაც დაიდგა ტელევიზორი, გაყვანილია სატელეფონო და რადიო ქსელი. მათივე ინიციატივით აქ ყოველთვიურად გამოდის კედლის გაზეთი „მეცხოველის ხმა“, რომელიც ეწევა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას და მკაცრად აკრიტიკებს ჩამორჩენილებს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მეცხოველეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებასა და, საბოლოო ანგარიშით, საერთო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას. უკანასკნელ ხანს კონტროლიორთა ინიციატივით მექანიზატორებმა კოლმეურნეობაში დაზოგეს 34 ტონა საწვავ-საცხებლი მასალა, ამალლდა ავტომანქანების ტვირთზიდვა და საერთოდ ტექნიკის გამოყენება.

სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების მოსავლის აღების საქმეში უსულგულობის არც ერთი ფაქტი არ გამორჩენია ნოლმე კონტროლის ჯგუფის წევრებს ნ. ნარიმანაშვილს, ა. ბალახაშვილს, ს. ბალახაშვილს, შ. გეორგაძეს, ს. პეტაშვილს, ა. არსენაშვილს, ა. მამეკაშვილს, დ. ზაზაშვილს და სხვებს.

სოფელ ლელოვნის აგროფაბანში კოლმეურნეთა ერთი ჯგუფი დადგენილი ნორმით გადამეტებით უკანონოდ ფლობდა საკარმიდამო მიწებს. ეს ფაქტი ამხილეს და კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის, გამგეობის მსჯელობის საგანი გახადეს კონტროლის ჯგუფის წევრებმა გ. ბუხიძემ და ა. არსენაშვილ

პირველ ექვსეულში

კიევში გრძელდება სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი ხელბურთში.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს ჯ. ბაბარაკინს. მან გვაცნობა:

— საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა გუნდი უკვე პირველ ფინალურ ჯგუფში გავიდა. მართალია, მან უკანასკნელისწინა მატჩი შეუპოვარ ბრძოლაში წაგო ჩიმპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტთან უკრაინის გუნდთან 17:21, მაგრამ ამან ჩვენს ხელბურთელებს ფინალისაკენ გზა ვერ გადაუღობა. აღსანიშნავია ისიც, რომ სომხეთისა და ესტონეთის გუნდების გუშინდელი შეხვედრა დამთავრდა ფრედ 23:23., და ამრიგად უკანასკნელი მატჩის შედეგს სომხეთის ნაკრებთან ჩვენი გუნდისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ი ვაჟთა გუნდების სხვა შეხვედრათა შედეგები: ტაჯიკეთი — ლენინგრადი — 14:52, ბელორუსია — ლატვა — 22:27, რსფსრ—უზბეკეთი — 27:18, მოლდავეთი — თურქმენეთი — 40:23, აზერბაიჯანი — ყაზახეთი 24:23.

რაც შეეხება ქალთა გუნდების ასპარეზობას, აქ ჩვენმა ხელბურთელებმა 1 ქულის სხვაობით წააგეს ბელორუსიის ნაკრებთან 16:17 და პირველ ექვსეულში ვერ მოხვდნენ. ეს კი უნდა იბრძოლონ მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებისათვის. აღსანიშნავია, რომ ტრავმისაგან ჩვენ გუნდს 3 წაყვანი მოთამაშე გამოაკლდა. ესენი არიან დ. გეფერიძე, ნ. არაბოფა და ი. ბელოუსოვი.

ქალთა სხვა გუნდების მატჩების შედეგები ასეთია: ლატვა — ყაზახეთი — 26:13, მოსკოვი —ტაჯიკეთი — 25:4, ესტონეთი — უკრაინა — 8:35, სომხეთი — მოლდავეთი — 13:30, ყირგიზეთი — რსფსრ — 6:29.

ფინალში „ოქროს ქულით“

ბაკოში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა გუნდების ტურნირის წინასწარი შეხვედრები. უკანასკნელი დღის მატჩებიდან მეტად დაძაბული გამოდგა აზერბაიჯანისა და ბელორუსიის ნაკრებთა შეჯიბრება. წარმატება მასპინძლებს ხვდათ 3:2, რომლებიც ფინალში ოქროს ქულით შევიდნენ. უკრაინელმა ფრენბურთელებმა სძლიეს ლატვიის გუნდს 3:0, და ისინიც გავიდნენ ფინალში, მაგრამ „უოქროს ქულოდ“. „ოქროს ქულით“ შევიდა ფინალში უზბეკეთის გუნდიც, რომელმაც მოუგო საქართველოს ნაკრებს 3:1.

ერთპიროვნული ლიდერი

რიგაში მიმდინარეობს სპარტაკიადის ფინალური ტურნირი კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტების — ლატვიისა და ლენინგრადის გუნდების შეხვედრაში ლატვიელები აღმავლობით იბრძოდნენ და პირველი დამარცხება აგიმეს მეტოქეს — 67:48. ლატვიის კალათბურთელები ლიდერები გახდნენ.

რსფსრ-ისა და ყირგიზეთის გუნდების მატჩში წარმატება პირველს ხვდა — 91:54 მოსკოველებმა მოუგეს უკრაინის გუნდს — 58:56.

ჭადრაკი
ჩემპიონის მძიმე ტვირთი...

კარპოვი უპასუხებს ჟურნალისტებს

ზაგრების გაზეთმა „სპორტსკე ნოვოსტემ“ გამოაქვეყნა ვრცელი საუბარი მსოფლიოს ჩემპიონ ანატოლი კარპოვთან. აი ამ საუბრის რამდენიმე საინტერესო ნაწყვეტი.

კმაყოფილი ხართ თუ არა, რომ რევანში აიღეთ პორტაშთან?

(უხგრელმა დიდოსტატმა კარპოვი დაამარცხა 1972 წლის შემოდგომაზე სან-ანტონიოს (აშშ) დიდ საერთაშორისო ტურნირში).

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, თუმცა დაფას რომ მივუჯექი, ჩემი მიზანი იყო უბრალოდ მეთამაშა ჭადრაკი და არა რადაც უნდა დამჯდომოდა რევანში აეღო. ამასთან ერთად, მე არც ის მავიწყდებოდა, რომ პორტაშში ერთი სამთამაშანია, რომელთანაც მე უარყოფითი ბალანსი მქონდა. ახლა ისინი ორნი არიან — პეტროსიანი და ოვკოვი.

როგორ გრძნობთ თავს მსოფლიოს ჩემპიონის როლში?

— დაღლილობას ვგრძნობ. უკანასკნელი ორი თვის მანძილზე სამშობლოში ბევრი ლექციი და ერთდროული თამაშის სეანსი მქონდა.

არის თუ არა იმედი, რომ გაიმართება თქვენი მატჩი ფიშერთან?

— მე მინდა, რომ ეს მატჩი გაიმართოს, მაგრამ ახალი ინიციატივის გამოელენას არ ვაპირებ, შემდგომი ნაბიჯი ფიშერმა უნდა გადადგას, თუნდაც იმიტომ, რომ ახლა ეს მატჩი მას უფრო აინტერესებს. მე მზად ვარ მოველაპარაკო მას პირადად, და არა შუამავალთა შეწყობით.

თქვენ კარგად მოემზადეთ ფიშერთან მატჩისათვის?

— დიახ, წინაღამდეგ შემთხვევაში რა აზრი ჰქონდა თამაშს. თუმცა მატჩი არ გაიმართა, მე არ შენანება მომზადებისათვის დახარჯული დრო, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ იგი შემდეგში გამომადგება.

ფიქრობთ თუ არა მომდევნო პრეტენდენტთან შეხვედრაზე?

— ჯერ ამაზე ადრეა ლაპარაკი. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მსოფლიო პირველობის ბრიგი მატჩის შესახებ ზუსტი დებულების გამომუშავება და იმის მიღწევა, რომ დებულება აღარ შეიცვალოს.

თქვენმა ყოფნამ იუგოსლავიაში დიდი ინტერესი გამოიწვია, რამდენადაც ცნობილია, ადგილობრივი საჭადრაკო ორგანიზაციებიდან არაერთი მიწვევა მიიღეთ.

— დიახ, მე მინდოდა ტურნირის დამთავრების შემდეგ დავბრუნებულიყავი სამშობლოში, რათა ცოტა დამესვენა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ. ახლა ვხედავ, რომ იუგოსლავიაში კიდევ რამდენიმე დღით უნდა დავრჩე. ეტყობა, ერთდროული თამაშების სეანსებს გავმართავ სლოვენიაში, შემდეგ კი ბელგრადში, სარაიეკოში, მოსტარში.

წლეულს კიდევ რომელ ტურნირებში ითამაშებთ?

— ესპანეთში და, შესაძლოა, იტალიაშიც, თუმცა ჯერ მე ორგანიზატორებს საბოლოოდ არ მოველაპარაკებიერ.

— რას იტყვით თქვენს შეხვედრაზე კორჩნოითან ახლა, რამდენიმე თვის გავლის შემდეგ?

— ეს მეტად მძიმე მატჩი იყო და ჩემის აზრით, მაღალი ხარისხის პარტიებით გამოირჩეოდა, თუმცა ბევრი მთავანი ყაიმით დასრულდა. გამოირკვა, რომ კორჩნოიმ მე უკეთ შემიმზადა, ვიდრე მე იგი. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კორჩნოი იმ მცირეთაგანი იყო, რომელმაც სპასკისთან ჩემი გამარჯვება იწინასწარმეტყველა.

სპასკი ლაპარაკობდა მსოფლიოს ჩემპიონის მძიმე ტვირთის შესახებ...

— გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მეც ვგრძნობ ამ ტვირთს. მინდა მეტი ყურადღება დავუთმო ჭადრაკს და ნაკლები — ბამოსელებს, ინტერვიუს.

როგორ მიგაჩნიათ, ფიშერს ღირსეულად არ აფასებდნენ თუ. პირიქით, ზედმეტად აფასებდნენ?

— დასაწყისში მას ღირსეულად არ აფასებდნენ, შემდეგში კი მისი ძალა ზედმეტად შეაფასეს. იგი, რა თქმა უნდა, დიდი მოჭადრაკეა, მაგრამ თავისი სისუსტეებიც გააჩნია.

თქვენ ფიშერის ყველა პარტია გაარჩიეთ?

— ყოველ შემთხვევაში, ძალიან ბევრი. მათ შორის ისინიც, რომელიც მან ჰერციგ-ნოვას ბლიცტურნირში ითამაშა 1970 წელს.

ბოგბზრთი

ა. მეტრეველი გამარჯვებით იწყებს

უიმბლდონში (ინგლისი) სტარტი აიღო ტრადიციულმა დიდმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად ითვლება.

მეჯიბრებაში მონაწილეობენ საბჭოთა ოსტატები ალექსანდრე მეტრეველი, ოლეო მოროზოვი, თეიმურაზ კაკულია, ელენე გრანატუროვა და ნატალია ჩმირეოვა.

პირველ ტურში ალექსანდრე მეტრეველი შეხვდა ინდოეთის ცნობილ ჩოგბურთელს ანანდ არმიტიჯს. ქართველმა ოსტატმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 6:4. 6:1. 6:2.

უიმბლდონის ტურნირის წინ მისმა ბევრმა მონაწილემ საკუთარი თავის მზადყოფნა შეამოწმა ინგლისის სხვადასხვა კორტებზე. ასე მაგალითად. მოსკოველმა ოლეგ მოროზოვამ ამერიკელ ჯული ენტონისთან ერთად ისტბორნის ტურნირის ფინალში დაამარცხა ივონ გულაგონგნისა (ავსტრალია) და მარგარეტ მიტჩელის (აშშ) წყვილი — 6:2. 6:4.

რედაქტორი
დ. მჯედლიშვილი.

მოკლედ

მშვიდობიანობა. დღეს შვეიცარიის ქალაქ ინტერლაკენში სტარტს იღებს მსოფლიოს ჩემპიონატი. საბჭოთა ნაკრებში (ფეროსი მწვრთნელი ვიქტორ სიდორუკი) შედიან: ქალები — ვალენტინა კოვპანი, ქეთევან ლოსაბერიძე, ემა გაპჩენკო, ელენე კუშნოვა, ზებინისო რუსტამოვა, ვირვე ჰოლტსმეიერი და ვიეტი — ალექსანდრე პანეინი, მატი ვაიკიარვი, ალექსანდრე აულოვი, ვიქტორ მიხაილენკო, იოსებ ფაინშტეინი, ანატოლი ივანენკო.

სროლა. ბუქარესტში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში, რომელშიც საბჭოთა გუნდმა 9 ოქროს მედალი მოიპოვა 12-დან. განსაკუთრებით კარგად გამოვიდა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ალექსანდრე მიტროფანოვი. მან ერთბაშად ხუთი ოქროს მედლით დაამშვენა მკერდი.

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს — ჭიათურის „მაღაროელი“. მან ჯერ ასპინძის „ვარძია“ დაამარცხა 3:0, შემდეგ კი თელავის „კახეთი“ — 2:1. ჭიათურელებს ახლა 31 ქულა აქვთ: 14 მოგება, 3 ფრე, ერთი დამარცხება. მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერს სოხუმის „დინამო“, რომელმაც ბოლო ტურში მოუგო ზესტაფონის „მეტალურგს“ — 6:4. მესამე ადგილზეა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი — 23 ქულა.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

ჩვენი ცოდნა

აცხადებს მიღებას 1975-1976 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობები: ა) ქართული ენა და ლიტერატურა; ბ) ქართული ენა, ლიტერატურა და მუსიკა; გ) აზერბაიჯანული ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა; დ) სომხური ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა.

2. რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) რუსული ენა და ლიტერატურა (ქართული და რუსული სკოლადამთავრებულები); ბ) რუსული ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა (ქართული და რუსული სკოლადამთავრებულები).

3. ისტორიის ფაკულტეტი. სპეციალობა — ისტორია და პედაგოგიკა (ქართული სექტორი).

4. პედაგოგიური ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართული და რუსული სექტორები); ბ) სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (ქართული და რუსული სექტორები).

5. ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. **სპეციალობა** — ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართული სექტორი).

6. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) მათემატიკა (ქართული და რუსული სექტორები); ბ) ფიზიკა (ქართული სექტორი), გ) ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (ქართული სექტორი).

7) საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. (სპეციალობები: ა) ქიმია-ბიოლოგია (ქართული სექტორი); ბ) ბიოლოგია-ქიმია (რუსული სექტორი); გ) გეოგრაფია-ბიოლოგია (ქართული სექტორი).

შემომსვლელნი, არჩეული სპეციალობის შესაბამისად, მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობებზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა* და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

ქართული ენის, ლიტერატურისა და მუსიკის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა* და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), მუსიკა.

შენიშვნა: ქართული ენის, ლიტერატურისა და მუსიკის სპეციალობაზე საბუთები მიიღება იმ პირებისაგან, რომელთაც დამთავრებული აქვთ მუსიკალური შეიდწლედი, ათწლედი ან ტექნიკუმი. აღნიშნულ სპეციალობაზე განცხადებები თბილისში მცხოვრებლებისაგან არ მიიღება.

რუსული ენის, ლიტერატურისა და ქართული ენის, ლიტერატურის სპეციალობაზე — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა*), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

აზერბაიჯანული ენის, ლიტერატურისა და ქართული ენის, ლიტერატურის; სომხური ენის, ლიტერატურისა და ქართული ენის, ლიტერატურის სპეციალობებზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა* და ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

ისტორია და პედაგოგიკის სპეციალობაზე — სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი*), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა* და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი).

შენიშვნა: დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე შემომსვლელს წინასწარ ჩაუტარდება გასაუბრება რუსულ ენაში.

სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა* და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი).

შენიშვნა: სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობაზე შემომსვლელნი გაივლიან ეკალურ-მუსიკალურ შემოწმებას.

მათემატიკის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა* და ზეპირი). ფიზიკა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ფიზიკის სპეციალობაზე — ფიზიკა (ზეპირი*), მათემატიკა (წერა და ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა* და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ქიმია და ბიოლოგიის სპეციალობაზე — ქიმია (ზეპირი*), მათემატიკა (ზეპირი); ფიზიკა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ბიოლოგია და ქიმიის სპეციალობაზე — ბიოლოგია (ზეპირი)*, ქიმია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი). მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

გეოგრაფია და ბიოლოგიის სპეციალობაზე — გეოგრაფია (ზეპირი)*, ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

შენიშვნა: ვინც საშუალო სკოლა დაამთავრა **ოქროს ან ვერცხლის** medlით, ანდა საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით, ჩაბარებს წერითს ან ზეპირ გამოცდას მხოლოდ ერთ სპეციალურ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით. ამ საგანში უმაღლესი შეფასების (ხუთი) მიღების შემთხვევაში ის თავისუფლდება სხვა საგნებში გამოცდებისაგან.

მიღების წესების თანახმად, დღის განყოფილებაზე შემსვლელ პირს, რომელიც მისაღებ გამოცდებს აბარებს არა საშუალო სკოლის დამთავრების წელს, როგორც წესი, მოეთხოვება სულ მცირე 6 თვის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, ყოველ იმ წელიწადზე, როცა ის არ სწავლობდა. აღნიშნული სტაჟის დასადასტურებლად აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელს განცხადება შეაქვს რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით. განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები: 1. დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი). საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს. ჩაბარებული საგნების შესახებ; 2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან. დახასიათებას ხელს აწერენ: საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი, პარტიული (ან კომკავშირული) ორგანიზაციის მდივანი და პროფორგანიზაციის თავმჯდომარე; კოლმეურნეთა დახასიათებას ხელს აწერენ: კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე და პარტიული (ან კომკავშირული) ორგანიზაციის მდივანი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დახასიათებას ხელს აწერენ: სკოლის დირექტორი და კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი; 3. იმ პირებმა, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა. უნდა წარმოადგინონ ავრეთვე ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. წარმოებისგან მოწყვეტით სწავლებაზე ჩარიცხულნი მოვალენი არიან სასწავლო წლის დაწყებისას წარმოადგინონ სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი; 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286). 5. ხუთი დამოწმებული ფოტოსურათი (სურათები უქუდოდ, ზომით 3X4 სმ); 6. შემომსვლელი პირადად წარმოადგენს: პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებული) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი).

განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 31 ივლისამდე (ჩათვლით) ყოველდღე, გარდა კვირაოდისა, 11 საათიდან 16 საათამდე. საგამოცდო ფურცლების გაცემა იწარმოებს 9 საათიდან 11 საათამდე. კონსულტაციები ჩატარდება 14 ივლისიდან.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღები კომისიის სამდივნოში (თბილისი), ი. ჭავჭავაძის პრ. № 32, ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ტელეფონი 22-26-21, მიმღები კომისიის ცნობათა ბიურო).

მიმღები კომისია.

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1975-76 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორები), **გერმანული ენა** (ქართული და რუსული სექტორები), **ფრანგული ენა** (ქართული და რუსული სექტორები);

არჩეული სპეციალობის შესაბამისად აბიტურიენტები ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: უცხო ენა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი).

მისაღები გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით. ინსტიტუტში შემსულები გაივლიან გასაუბრებას.

ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის medlით ან საშუალო სპეციალური და პოლიტექნიკური სასწავლებლები წარჩინების დიპლომით, უცხო ენაში შეფასება „ხუთის“ მიღების შემთხვევაში თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარებისაგან. ჩარიცხვის დროს უპირატესობით სარგებლობენ არანაკლებ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები, ასევე თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეები.

ინსტიტუტში შემსვლელს განცხადება შემოაქვს რექტორის სახელზე სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით. განცხადებას ერთვის შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს — სკოლის დირექცია და კომკავშირული ორგანიზაცია, 3. ის პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, წარმოადგენენ შრომის წიგნაკიდან ამონაწერს, დამოწმებულს საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელის მიერ (საკოლმეურნეო წიგნაკიდან ამონაწერში ნაჩვენები უნდა იყოს შრომადღეების საკალდებულო მინიმუმი კალენდარული წლისათვის); **იმ აბიტურიენტებს, რომელთაც დამთავრეს სკოლა 1975 წლამდე, მოეთხოვებათ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ 6 თვისა ყოველწლიურად.** აღნიშნული სტაჟის დასადასტურებლად **აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;** 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5. ოთხი ფოტო-სურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ) დამოწმებული; 6. პასპორტს და სამხედრო ბილეთს (მიწერის მოწმობას) შემსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით გარდა კვირა დღეებისა, 10 საათიდან 14 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 2 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში.

თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 45; ტელ. 22-50-92.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

სამსტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი

1975-76 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას



პირველ ტურში სასწავლებელში შეიტანენ: მუსიკალური სმენა, რიტმი, სასცენო მოძრაობა და ფიზიკური მონაცემები.

მეორე ტურში გამოცდები ჩატარდება სპეციალობაში. მხატვრული კითხვა (ლექსი, პროზა, ოვაგ-არაკი), სცენური ეტიუდები, საესტრადო ინსტრუმენტების დაკვრის ელემენტარული ცოდნა, საესტრადო სიმღერა.

საცირკო განყოფილებაზე: აკრობატიკისა და ცირკის მსახიობებს (აკრობატებს, ჟონგლიორებს, ორიგინალური ჟანრის მსახიობებს, ეკვილიბრებს, კლოუნებს).

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-30 წლამდე. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია. სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე. ორივე განყოფილებაზე გამოცდები სპეციალობაში ტარდება ორ ტურად.

ფიზიკა (ზეპირი*), მათემატიკა (წერა და ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა* და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ქიმია და ბიოლოგიის სპეციალობაზე — ქიმია (ზეპირი*), მათემატიკა (ზეპირი); ფიზიკა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ბიოლოგია და ქიმიის სპეციალობაზე — ბიოლოგია (ზეპირი)*, ქიმია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი). მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

გეოგრაფია და ბიოლოგიის სპეციალობაზე — გეოგრაფია (ზეპირი)*, ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

შენიშვნა: ვინც საშუალო სკოლა დაამთავრა **ოქროს ან ვერცხლის** medlით, ანდა საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით, ჩაბარებს წერითს ან ზეპირ გამოცდას მხოლოდ ერთ სპეციალურ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით. ამ საგანში უმაღლესი შეფასების (ხუთი) მიღების შემთხვევაში ის თავისუფლდება სხვა საგნებში გამოცდებისაგან.

მიღების წესების თანახმად, დღის განყოფილებაზე შემსვლელ პირს, რომელიც მისაღებ გამოცდებს აბარებს არა საშუალო სკოლის დამთავრების წელს, როგორც წესი, მოეთხოვება სულ მცირე 6 თვის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, ყოველ იმ წელიწადზე, როცა ის არ სწავლობდა. აღნიშნული სტაჟის დასადასტურებლად აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელს განცხადება შეაქვს რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით. განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები: 1. დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი). საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს. ჩაბარებული საგნების შესახებ; 2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან. დახასიათებას ხელს აწერენ: საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი, პარტიული (ან კომკავშირული) ორგანიზაციის მდივანი და პროფორგანიზაციის თავმჯდომარე; კოლმეურნეთა დახასიათებას ხელს აწერენ: კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე და პარტიული (ან კომკავშირული) ორგანიზაციის მდივანი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დახასიათებას ხელს აწერენ: სკოლის დირექტორი და კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი; 3. იმ პირებმა, ვინც 8 კლასი დამთავრა ქვეყნის სიგელით.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი); 2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა №286; 3. შრომის წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების მიერ სტაჟის შესახებ; 4. 4 ცალი ფოტოსურათი. ზომა — 3X4 (უქუდოდ); 5. პასპორტი (დაბადების მოწმობა), სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილ უნდა იქნეს პირადად.

სასწავლებლებში მისამართები: თბილისი, კლარა ცეტკინის ქ. № 200, ელსმენი 95-30-69, 95-70-82.

სამსტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის დირექცია.

თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი

1975-76 სასწავლო წლისათვის აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას საბიბლიოთეკო და წიგნთსაქონელმცოდნეობის განყოფილებაზე (სწავლა ქართულ ენაზე).

სასწავლებლის ორივე განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

სასწავლებელი კურსდამთავრებულებს აძლევს ბიბლიოთეკარისა და წიგნთსაქონელმცოდნის კვალიფიკაციას და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას.

გამოცდაზე დაშვებული მოქალაქენი აბარებენ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში:

საბიბლიოთეკო და წიგნთსაქონელმცოდნეობის განყოფილებაზე: 1. ქართული ენა და ლიტერატურაში (წერა, თხზულება); 2. სსრკ ისტორიაში (ზეპირი),

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით, შემდეგი საბუთების დართვით: 1 განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № 286, 4. ოთხი ცალი ფოტოსურათი (ზომა — 3X4-ზე), 5. ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7. დახასიათება, 8. რაიონის კულტურის განყოფილების მიმართვა (საბიბლიოთეკო განყოფილებაზე).

ის პირები, რომელთაც სულ ცოტა ორი წლის მუშაობის სტაჟი აქვთ, წარმოადგენენ შრომის წიგნაკიდან ამონაწერს, საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებულს, ხოლო კოლმეურნეები — საკოლმეურნეო წიგნაკიდან ამონაწერს, გამგეობის მიერ დამოწმებულს.

სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ: დაბადების მოწმობას, პასპორტს, ან სამხედრო ბილეთს.

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ: 1. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროს და ვერცხლის medlიანები; 2. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, თუ მათ სამხედრო სამსახურში დაჰყვეს არანაკლებ ორი წლისა; 3. ის პირები, რომელთაც აქვთ სულ მცირე ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო სტიპენდიით სამართო წესით.

განცხადებები მიიღება ამა წლის 5 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 6 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირადღისა, 3 საათიდან 8 საათამდე.

მისამართი — ქ. თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. № 9, ტელეფონი 99-82-10.

საქონელი — ფოსტით!

სენტრსოიუზის მოსკოვის სარეალიზაციოთამშრომლისა საკაჭრო ბაზა სოფლად მცხოვრებლებისაგან იღებს ინდივიდუალურ შეკვეთებს მაგნიტოფონის ფირზე: „ტიპი-6“ სიგრძე 180 მეტრი — 2 მანეთი და 85 კაპიკი; „ტიპი-10“ სიგრძე 270 მეტრი — 4 მანეთი; „ტიპი-10“ სიგრძე 375 მეტრი — 5 მანეთი და 50 კაპიკი; „ტიპი-10“ სიგრძე 525 მეტრი — 7 მანეთი და 50 კაპიკი.

შეკვ